შაბათი, 5 ქრისტეშობისთვე № 49 1915

ფასი 10 კ.

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ.—ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან"ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. Театри да Цховреба" І. Имедашвили.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, საბელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი

ფელიეტონი მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება"

ფელიეტონი გამოცემისა მეოთხე

წლიურად ნ მან. ნახ. წლ. ३ მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვიულებრივი სრული პროგრამით, ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით. (დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.)

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის" სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) ოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს.

ფოსტით: Тифлисъ, ред. „**Театри да Цховреба**"— Іос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41.

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

5 ქრისტეშობისთვე

ჩვენი ვარამი

აფთრისაგან არ იშობების ბატკანი, ანწლისაგან არ იქნების ყურძენიო... და ჩვენ კი მაინც ‖ის გვინდა უცხო ზნე-ჩვეულებით აღზრდილმა, უცხო ნიადაგზე გაპოხიერებულმა »ქართველმა« მამულს სამსახური გაუწიოს.... .

ამიტომაც არის, რომ შობილი მშობელს ვერ სცნობს, მემკვიდრე—წინაპარსა და მშობელი ერის—ხალხის ვარამს გული გულში ვერ ჩასწვდენია, თუმცა სიტყვით ამას ჩემულობს . . . . . .

თ ი ქ რ ე ბ ი

ამბობენ, უმადლესმა რწმენამ თავისთავად უნდა გაშადოს ფრთა ბავშვის სულში, თქვენ კი ამ რწმენის განვითარებას მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოთო. აქ განმარტებაა საჭირო: როგორ უნდა დაუდოთ საზღვარი, როგორ უნდა ადგეგმოთ ზნეობრივი ძალის გავლენით ბავშვის დაბადი გრძნობანი, თუ მას მოელი თქვენი სულის ძალა, მოელი თქვენი რწმენის სიდრმე და ძალიერება არ ახვენეთ? ხოდა ამ საგანში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ საზღვარს არ გასცილდეთ, არ გადაჭარბოთ: უნდა ეცადოთ, რომ რწმენით აღსავსე თქვენი სიტყვები—თვით ბავშვის შეკითხვის, მისი სულიერი მოთხოვნილების პასუხი, და არა ძალად ჩანერგილი სიტყვიერება იყოს.

—

ჩემგან შექმნილი ბირადი ზნეობა—ჩემი ცხოვრების დედა-ბოძია, რომელსაც მტკიცედ ვეურდნობი, როგორც სიცოცხლით სავსე ჩემი საკუთარი შემოქმედების ნაყოფს, ჩემ ბირმშო შვილს. სხვისაგან ჩანერგილი ზნეობა ძალად აყვანილ ბავშვივით აბეზარია.

—

კეთილშობილობას მხოლოდ ის კონიერი მოძღვრებანი გაუწევენ ერთგულ სამსახურს, რომელნიც იმის ეურადღებას შეჰკრებენ და მონობის გამომწვევ იმ უმთავრეს მიზეზზე დაამყარებენ, რომლის შედეგია მონობის ეველა დანარჩენი ფორმა.

რიცა ადებული იქნება მტრის უმთავრესი ციხე, შედარებით უფრო ბატარა ციხეებს მათი მკვებავი ძარღვი მოეკრებათ და ბირისაგან ქვეყანისა ადიგებიან.

ილია ნაკაშიძე

რ ე კ ა ლ ე ბ ი

10

„მკვდარი ბრიუგგე“.

ცის-ფერის, დანადგდიანებულის თვალებით გასცქერის ‖ეარფანი ჟ. როდენბახი თავის სამშობლოს, სახე მისი გაფითრებულა და შუბლზე ნაოჭები აერია.

მის ფანტასტიურ, მიძინებულ ბრიუგგეს ქუჩებზე ზარბაზნების ‖ექა-გრიალი გაისმის და სისხლი ‖ქეფად სდის. წითელ ალს შთაუნოქავს ჩუმი წყვდიადი. კათოლიკეთა ეკლესიის სპეტაკი კედლები და მადონას სათნო სიდამშეზე ეუმბარების დაუდეწია.

ადარსად ბუდობს ის მისტიური სიჩუმე, რომელიც ხელოვნურად დაცულა სამუალო საუკუნოებიდან და, რომელმაც ფრთა შეასხა როდენბახის ნაზ ფანტაზიას. მონასტრები დაცარიერდა და თოვლივით სპეტაკი მონაზონნი ზარის ნაზ გუგუნზე »მისტიურ ზამბახებად« თავს არ ხრიან და გრძელ წამწამებს არ ახამხამებენ წმინდა საკურთხევლის წინ.

აუოხრეს სამშობლო, სიჩუმის ზღვა აუბობქრეს... ცივ სამარეშიც დაატკივეს მისი გული ბრიუგგეს კვნესამ. აი, კიდევ სიწყნარის ბოეტი, არა ნაკლებ ფანტასტიური, მდუმარებით მეტყველი. მის სულსაც როდენბახის სინაზის ნატეხი ფლობს და მისებრ მდუმარე სევდის სიმშვენიერე ასახიერებს.

ისიც ხომ იმ სამშობლოს შვილია, ჩვენი წუნარი მწუხარების მეგობარი, წარსულ მშვენიერების ბოეტი, დამაზი და მშვიდი ფერების ტრუბადური.

რა საკვირველებაა!..

უმწვერვალ ად განვითარებული, კაპიტალისტურად სრულიად მომწიფებული ბელგია, ს

ქარებულ ტუმბით მაჯის ტუმს, მისი ქარხნების გონუწუვეტელ გუგუნს, გაჭედილ ქუჩების მოუსვენარ წრიალსა და არეულ-დარეულს; ეოვეული მათ განი ისწრაფვის უფრო მეტ და ფარფო შიაბეჭდილებისაკენ, მათი სუფარელია ბრიუსელი და ანტვერპენი... და ამავე დროს ბელგიის სუკეთესო შვილი, მისი ნაზი ხირმში წუთითაც ვერ შორდება წენარ, მოხუც ხავს-მოდებულ ბრიუგგეს.

აი, ამ სიწენარის წუვდიადში იშლება მისი ადი ფანტაზია, ძველი კოშკები ატეგეებენ მის გრძნობას. რაცა მოელი ერი გატაცებულია უკანასკნელის სახით კულტურისა და მას ეწაფება, ენდა შეასვას მოელი ქვეენიერების სიმდიდრე და მშვენება, სიწენარის მგოსანი ფანტაზიის ფრთის ქვეშ ისვენებს და თეთრის ეფაფოლებით ამგობს საშინელ სიკვდილს. მის წინ დიგდიეთ კვდიან ფიქრები იმ ქვეენიურ დაუსრულებელ სრულობასა, სულის უსაზღვროებასა და კანტიათ უფსკერობაზე.

იგი ქმნის ახალ, იმ ქვეენიურ რელიგიას და ქმნილ მშვენიერებაში ამყარებს თვის სულს.

... თქვენ ვერ გაიგებთ, თქვენ ვერ აგიხსნით...

გვეუბნება იგი თვისი ქვეენის მშვენებაზე და გაკვრით თუ ასახავს იმ დიად კანტიას, რომელსაც მასში ამკვიდრებს ფანტაზიის ფურჯი ფრენა.

„მოდიდი სული“, იტყვიან მის შესახებ, და ისიც მშვიდად და მუსიკალურის რითმით მოგვიგებს: „ჰო, მოდიდა, მოდიდა თქვენმა ფუსფუსმა და დდიურმა ზრუნვამ... ამა ჩამიშვით უფავიდებით შეკრულის კიბით მარადისობის სამეფოებელოში. ნუ მირდვევთ მის ჭვრეტითი ნეტარებას ამ ქვეენიერობის სიფხიზლით“... მდუმარებას ეტრფის მგოსანი და მდუმარების სავანეს დაეძებს—მკვდარ ბრიუგგესკენ ისწრაფვის მისი სული. მან ჩვენი ენა არ იცის და მდუმარებით წენარ ბუნებასთან საუბრობს, თვის გრძნობათა ხავერდს შლის და ტრემლებით კანბანიდს ისევ ახვევს

კაიშლება ერთის წუთით ეკარობი გრძნობათა და თქვენც მოწიწებით ემთხვევით მის დამაზ, დიად სიჩუმეს. თქვენი სული, რელიგიურის ექსტაზით ჭერობილი, თან მიუვება ამ ხვევას და მასთან ერთად ოცნების ქვეეანაში ნავარდობს, ზეზოგან კაეშნის ჭანგებზე დადიდინებს, უსიტყვოდ საუბრობთ, სულის სიდრმეს სწვდებით და ვიდაც უცნობი გიუვართ, გიუვართ საშინლად, ან შეიძლება თვით სიყვარული გიუვართ.

აი, რამდენად აქტიური შემოქმედია ეს უსიტყვო, გარეგნულად უმოქმედო შემოქმედება.

. . . . . .

ოცნებით მოგფრინავ ჩემს სამშობლოში და ჩემს საყვარელ ხელოვნების რეულს ვშლი, მის უკანასკნელ ფურცლებს ვათვალიერებ. ოხ, რა საშინლად მიხურს და მიწითდება დოუა... საშინელი სირცხვილი მწვავს და მინდა საშინელის ხმით დავიყვიროთ: „კმარა, ნუდა შეურაცხყოფთ მათ... თქვენის უაზრო მდუმარებით, რომელიც იდიოტურ კამოშტერებს წაგვს, ნუ შებდალვთ სიწენარის ტაძარს!..“

მშრალი, ზერელე, ბაუფიქრებელი კენესა, ბევრის ჯაგლაგისაკენ დაქანცულ საქონლის ამოოხვრას ჭკვს.

აქ არ არის ჭვრეტის სიდრმე, ფანტაზიის სიმდიდრე, არ არის გრძნობის სისადე და ბუნებითი მშვენიერება. უაზრო, უშინაარსო ტრემლთა დვრა და სულიერ სიკოტრისაკენ წარმოდენილი სიამაყე მარტოობისა.

უსუდო ტიკინები ჩაიდ ჭარ-ლდის მოსასხამში. ცხოვრების, კულტურის უცნობნი, უვიცნი, ოითქოს იმედ-კარგუეულნი, გულ-ასუეებულნი ხვნეშენ და წითელ თვალებს ისრესენ... აი, ჩვენი სიჩუმისა და სეფდაინობის მგოსნები.

როდენბახის დად სულს ბრიუგგეს სიწენარე სწეურია, მკვდარ სიწენარეს სიდუმლო ენით ეჩეტუეველებს, ჩვენი მგოსნების მკვდარ სულს კი ბრიუსელი და ანტვერპენი სწირია, რომ სულიერი უმოძრაობა კარდალახონ და ჭეშმარიტის ენით კულტურულმა ცხოვრებამ ააჩეტეველოს იმ სიწენარემდე ჩვენი ბოეტები ჯერ ვერ მიდწეულნ, რომ მათ კენესას რეალური ფასი დაედვას და სიყალბის ფარდა ჩამოეხეს. ჩვენ დდეის ცხოვრებას მარტო ერთი დირსეული მწერალი ჭკვს, რომელსაც მე ჩვენი სიჩუმის მგოსნის გუწოდებდი, მაგრამ ისიც ბოეტი არ არის. გეტეეთ შემდეგ ცოტას მის შესახებაც.

აკაკი პაპავა

უბედური დედა!

სურათი

(ვუძღვნი მაჰმადიანთა დარბეულ ოჯახებს)

საზარელი ღამე იყო... ჰქროდა სუსხიანი ზამთრის ქარი, თან თოვლის ნამქერს ჯერ ჰაეში შეატრიალებდა, შემდეგ გაშმაგებული, თითქოს ჯავრს ყრილობსო, აყრიდა ვლეხთა ქოხებს... ტყიდან მოისმოდა სიცივისაგან შეწუხებ'ულ ნადირთა შემზარავი ყმუილი, რაც შიშის ერუანტელს ჰგვრიდა ადამიანს...

სოფლის დასაწყისში მდგარ ერთ ქოხში, რომლისთვისაც მტრის ზარბაზნის ტყვიას ბანი სრულიად ჩაენგრია, რის გამო ქოხში ცივი ქარი თავისუფლად ნავარდობდა შუა ადგილას კერაზე ოდნავ ხრჩოლავდა კიზიაკი *), რომელიც სითბოს მაგიერ, იქაურობას მწარე ბოლით ავსებდა... კერას გარს უსხდნენ: ერთი ახალგაზდა მაჰმადიანის ქალი, რომელსაც სახეზე უდროვოდ სიმწარის დაღი აჩნდა და ორიც ბალღი. ერთი მათგანი ექვსი-შვიდი წლისა იქმნებოდა, მეორე კი უფრო მომცრო. ორთავენი სრულიად ტიტვლები იყვნენ, რადგან მათი ჭუჭყიანი, დაფლეთილი მოკლე პერანგები სამოსლად არ ჩაითვლებოდა... მხოლოდ ქალის კონკ-ტანისამოსიდან მოსჩანდა ტიტველი კანი, რასაც, დრო-გამოშვებით, კაბის ჩამოფლეთილ ნაჭრებით იფარავდა ..

— ზუუ... ბრრრრ... სსსს..,, აუშვა უცებ იალქნები გაკაპასებულმა ქარმა და თოვლის ნამქერთან ერთად, საშინელი სიცივე შეიტანა ქოხში, რამაც ერუანტელი დააწყებინა იქ მყოფთ...

— გატიალდი, გატიალდი, შე ვერანავ. დამღუპავს ეს ოხერი ისე ატყდა,—გაისმა ქოხიდამ ნაღვლიანი ხმა ქალისა...

— დედი! ცი ..ვა... დე. .დი... ცი...ვა. . პუ...ლი... ცი...ვაა.. ,— გაისმა სიცივისაგან ბავშვის აკანკალებული ხმა.

— ცი...ვაა... ცივაა... პულ. .ი მში. .ა, —გამოეხმაურა მეორე...

— ცივა? პური? პური!?. განიმეორა აბნეულად ქალმაც და თვალებიდან ცრემლის ნაკადული მოსწყდა... და სწრაფლ მთელი მისი არსება მწარე ფიქრებმა მოიცვა... და თუმცა ბავშვები უმატებდენ ტირილს, მაგრამ დიდხანს აღარ გაუგონია... როდესაც ფიქრებიდან გამოერკვა, გონს მოვიდა და ბავშვების დიდი ხმით ტირილი გაიგონა—აღელვებულმა შეუტია:

— ჩუთ... ჩუთ... დაიძინეთ... თორემ, აგერ მგელი ყმუის და მოვიყვან... უთხრა და თან ნაღვლიანად ამოიოხრა...

ყმაწვილები მგლის გაგონებაზე სწრაფლ მიყუჩდნენ, სიმშილ-სიცივისაგან შეწუხებულნი უჩუმ'ად წამოწვნენ იქვე დაგლეჯილ ჭილობზე და მალე ხვრინვა ამოუშვეს... ქალი დიდხანს დადიოდა ოთახში, რომ რაიმე ეპოვნა მათ დასახურად, მაგრამ მტრის ხელს აღარაფერი დაეტოვებინა და იმედ-გადაწყვეტილი მიჯდა იქვე... თვალებზე ხელი მიიფარა და ჩუმად სასოებით ევედრებოდა ღმერთს, რათა მფარველობა გაეწია მის შვილებისთვის. ბოლოს წამოდგა, ცრემლიანი თვალები ზეცას მიაპყრო და ხმა-მაღლივ შე'ძახა:—ინშალა ლა ილაჰა ლალა. *) და შემდეგ თითონაც მიწვა...

ზამთრის სუსხიანი ქარი კი სიმკაცრეს იჩენდა და საშინლად აციებდა ქოხს ..

—

გათენებულიყო .. ქარი აღარ ჰქროდა... მზის მნათობი სხივები მოჰფენოდა მიდამოს და ოქროს ფრად ლაპლაპებდა თეთრ ქულასავით თოვლზე... მთელი სოფელი ადრიანად წამომდგარიყო... აქა-იქ, ქოხებთან გაისმოდა ჩაფრების ხმაურობა, რომელნიც ერეკებოდნენ ხალხს სამხედრო ბეგარაზე... ყველას სახეზე მჭმუნვარება სჩანდა... სოფლის დასაწყისში მდგარ ერთ ქოხის კარებიდან გამოჩნდა უეცრივ ერთი ახალგაზდა ქალი, გიჟურის სახის გამომეტყველებით, თმა გასწეწოდა, ტანისამოსი შემოეგლიჯა და მოურიდებლად გარბოდა ყვირილით .. ყველამ ქალს მიაქცია ყურადღება. უბედურ დედას, თავისი ორი შვილი, სიცივისგან გათოშილნი იღლიებში ამოეჩარა და მიჰქროდა. ამ სურათმა თვით ჩაფრებიც კი დროებით საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მალე დავიწყებას მისცეს თავი და ისევ ყვირილით და მათრახების ტყლაშუნით დაუწყეს რეკვა ხალხს...

უბედური დედა კი მირბოდა სოფლისკენ ყვირილით..,

ვანო საათაშვილი

*) კიზიაკი—საქონლის გამხმარი პატივია, რომელიც შეშის მაგივრად იხმარება. ავტ.

*) არაა ღმერთი, ერთი ღმერთის მეტი. ავტ.



გრაფი ფერდ. ფონ-ცეპელინი და მისი გამოგონება ჰაერში საფრენ საომარი მანქანა-დირიჟაბლი, გერმანელთა სიამაყედ მიჩნეული, 4—5 წ. წინად არაფრად სწამდათ, ამ ომიანობაში კი დიდი სამსახური გაუწია: მტერს ძლიერ აზარალებს, მას კი, იშვიათად, რომ ავნონ რამე. ეს საზარელი „ჰაერის ჯავნოსანი გემი“, მძიმე იარაღებით შეჭურვილი. დღემდე ოცდათექვსმეტია გამოშვებული და კიდევ დღე-ღამე დიდძალი ხალხი მუშაობს მათ მოსამზადებლად.

კურთხეულით შვილო!

(ლექსი პროზად. ძღვნად დარიკოს.)

მოგშორდი, მაგრამ...

თუ ოდესმე ვინმე მოქიშპემ ბილწ ფრთის მოხვევა შენ გაგიზრახოს და, ცბიერ ღიმით, გამრყვნელი კოცნა შენს ღრმა თვალებზე სურდეს დასახოს,—წამს მოიგონე მიჯნური შენი, ვინც უაღრესის მწუხარებ'ა შენი გულისთვის იყო მომთმენი, განკიცხვის სახით, იმ მოქიშპეს მოსტეხე ფრთ·ნი და უარჰყავი კოცნა იგი ტანჯვის მომტანი...

ჰე.. ჩაიდინე, სანუკვარი ს ქმე ესდენი და უკუ აგდე კაცი იგი, ბილწი, შემცდენი. .

პატიოსნების ქარტეხილს აჰყე, და, მრწამ, მიგიყვანს ისეთ სამეფოს, სადაც ყველა შესტრფის თვის სიცოცხლის ჟამს სარსებ ოს ..

და გრწამდეს, არ დაგივიწყებს არცა იგი ძე, რომლისათვისაც მხოლოდ შენ ხარ ღვთიური „მრწამსი“...

გჯეროდეს... გრწამდეს, მალე მოვა ის ნეტარი დღე, როს შენ იქნები მთელი ქვეყნის კურთხევის თასი...

მიჯნურიც შენი მახვილ-კვერთხით სივრცეს გაპობს; ჰაერს გაჰფანტავს, ჰაერს მხუთველს, არა საამოს; სამადლობელად განგებისა ხელთა აღაპყრობს...

და, ნიშნის გებით, წამს შესძახებს გულისა მომწყვლელს:

—ეჰა, დაუდგა დრო ნეტარი ასულს უცოდველს...—

მიხ. კიაზოშვილი

ქ. დორპატი.

განცდა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 48)

3

მაისის ღამეა; ნამგლისებური მთვარე ცაზე მისცურავდა, როს შუშანა ლიტრით წყაროსთან მივიდა; ამ დროს იღბალზე ილოც მოვიდა წყლის დასალევად.

— შუშან! შეიძლება მაგ ლიტრით დავლიო?..

მიმართა თავაზიანად ილომ.

— რატომ...

უპასუხა შუშანამ და თრთოლვით გაუწოდა სავსე ლიტრა.

ღმერთო! რა რიგ უნდოდა ამ დროს ილოს თვალებში ჩახედვა, რომ ამოეკითხნა: იმასაც უყვარდა? და ისე როგორც თვითონ? მაგრამ თავი არ ემორჩილებოდა, იგი უმძიმდა; ზეკისერზე, ვით მოწყვეტილი, მოდუნებული, ეხრებოდა და მთელის სხეულით კი ისე ცახცახებდა, რომ დროზე არ ჩამოერთმია ილოს ლიტრა, ხელიდან გაუვარდებ·და.

— მართლა, შუშან!—მიმართა ილომ, როს მოსვა და შევსებული ლიტრა დაუბრუნა, მომილოცნია...

— მერე, რას მილოცავ ..—ძლივს მიუგო შუშანამ, რადგან გული ისე გაუქანდა, ვით ბუდიდან ამოფრენილი მტრედი.

— რასა?.. ვითომ არ იცი?.. მალე გათხოვებასა...

— ჰა, ჰა, ჰა... მერე ვიზედა?

— ვიზედაო?!. აი, არტემაზედა...

— უწინამც დღე დამელიოს ..

— მაშ, შენ...

— რა, მე?

— მე ეგრე გავიგე. . მამაშენს უთქვამს...

— მე თუ არ მინდა...

— შენა გკითხავს მამაშენი...

— უკაცრავად! ვერც ძალას დამატანს!

— შუშანა, იცი რა?

— არ ვიცი?!

— აი, ეხლა მომაგონდა, ჩვენი პატარაობაი...

— ხშირად, ხშირად ვთამაშობდით...

— გახსოვს? ერთხელ ვიქორწინეთ კიდეცა... მაყრებიც, აი, ამ წყალსა სვამდნენ...

— პაწია ხის ჯამით, შენ რო მაჩუქე... იცი, ილო, ის ჯამი ეხლაც შენახული მაქვს! იმ დროსა...

— ნეტა იმ დროსა?! მაშ, შუშანა!.. შენ...

— რა... მე...

შუშანამ ოდნავ წაილუღლუღა და, თავდავიწყებული ილოს ფართე გულმკერდიკენ გადიხარა, რომ ილომ თამამად მოხვია ხელი და აღტაცებით წასჩურჩულა:

— მაშ, შუშანა შენც...

— მე...

— მეც...

4

ამის შემდეგ შუშანა რამდენად ილოსადმი სიამოვნებას განიცდიდა, იმდენად არტემას დანახვა და გახსენება ტანჯვასა ჰგვრიდა; ილოას დანახვა მას ენატრებოდა, არტემას შეხვედრა კი რაღაც უცნაურ შიშსა ჰგვრიდა.

დედა მეტად კეთილი ჰყვანდა. აკი იმიტომ დაეთანხმა კიდეც, სიყვარულშიც თანაუგრძნო, ხოლო მამამ კი ილოას უარი ეთხრა, რის გამოც შუშანამ ამაზე ლაპარაკს ყური მოჰკრა:

— ვა, დედაკაცო, გაგიჟდი?!.

გაახსენდა მამის სასტიკი ხმა.

— არა, ქართველს. მივცე ჩემი შუშანა და, მერე ჩემი ქონებაც იმას დარჩეს?.. აზირ ისევ არტემას მივცე, ვაჭრობაც იცის და ქონებასაც მოუვლის.. „ლუკმა გავარდეს—ჯამში ჩავარდესო“. არა, ვერ გაიგე იმ დღეს აქ რები წაგვიკითხა ტერტერამა? შენ თავში არ შავიდა იმისი კარაბადინი?..

— მერე და, რა ვქნა ქაა, შუშანას რო ილუა უყვარს?..—მოაგონდა დედის სიტყვები.

— უყვარს! მერე რათ უყვარს, ის ხომ ჩემი მტერია...

— იჰ, რას ამბობ, ქაა...

— არა, დაგავიწყდა, ილოა და მისი დამქაში ლაწირაკები რომ „ბურჟუას“ მეძახდნენ?.. კმარა სხვების გასუქება, სავაჭრო მთელს სოფელს უნდა ეკუთნოდესო...

— „არა, მამა! იგი ყველა ჩარჩზე“...

უნდა ეთქვა ამ დროს მამისათვის, მაგრამ არ გამოჩნდა,—გაჩუმდა; ხოლო ილოს სიყვარული ამის შემდეგ უფრო გაუღვივდა მთელს არსებაში და გადასწყვიტა:

— მე ილოსი, ილოსი ვარ; მას ვეკუთნები! უწინამც დღე გამიქრეს, ვინემ სხვისი გავხდები... ასეც მოხდა.

ილომ შუშანა დაითანხმა და მოიტაცა.

ს. გლახაშვილი

ქართველ ერის ისტორია

ივ. ა. ჯავახიშვილისა

(მკითხველის შენიშვნები)

ბ. ი. ჯავახიშვილის დაწერილი ისტორია,—ეს ისეთი წიგნია, რომლის წაკითხვა ყველა ქართველის მოვალეობაა. მოვალეობაა მეთქი, ვამბობ, რადგანაც ყველა ქართველი მოვალეა არა თუ იცნობდეს თავისს წარსულს, არამედ იცოდეს იგი; ცოდნის შეძენა შეიძლება კი ისეთი წიგნით. როგორიც არის ბ. ჯავახიშვილის ისტორია. ვინც წაიკითხავს მხოლოდ (გინდ არც კი შეისწავლოს), იგი დარწმუნდება, რომ ამ ბატონეტემულ ისტორიკოსს ისე უყვარს თავისი საგანი, რომ ძალაუნებურად მკითხველიც ემორჩილება მის გავლენას და ისე შეუყვარდება მოთხრობილი ისტორია, როგორც ავტორს ჰსურს. სრულებით სორტიელდება მისი დასახული მიზანი, რომელიც გამოთქმული აქვს წიგნის წინასიტყვაობაში შემდეგის სიტყვებით: „მე მინდოდა მკითხველი თანამოაზრედ გამეხადა, რომ მას ითონაც ეგემნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერი ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს“. მართლაც, აბა გადიკითხეთ მისი წიგნის, თუ გნებავთ, ზოგიერთი ადგილი, მაგალითად, შესანიშნავი დახასიათება და დვაწლის ადწერა გიორგი მთაწმინდელისა, დავით ადმაშენებელისა, თამარ მე

ფისა და მათ დროთა ვითარების გარკვევა,— თქვენ უეჭველად აღტაცებული იქნებით წიგნის შინაარსით, ავტორის დრმა ცოდნით, საგნის სიუვარულით და ბოლოს უდრმესს მადლობას მიუძღვნით ავტორს ამ დიდი შრომისათვის.

როგორც ცნობილია, ჩვენს ისტორიაში „ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოურკვეველი და შეუსწავლელი“. ამიტომ ბ. ჯავახიშვილიც ცდილა თავის ისტორიაში „შეეტანა მხოლოდ ისეთი ცნობები, რომელიც თანამედროვე მწერლობაში უკვე გამორკვეული არის, ან პირადად მას ჰქონია შესწავლილი. ამის გამო „ქარ. ერის ისტორიაში“ ჩვენი წარსულის უველა დიდმნიშვნელოვან საკითხების შესახებ არ მოიპოვება ცნობები, არამედ შეტანილია მხოლოდ ის, რაც თანამედროვე ცოდნისა და კვლევა-ძიების და მიხედვით გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს“.

მართლაც ადმოსავლეთ საქართველოს ისტორია მას მარტო მეფე არტაგის (66 წ. ქ. წ.) დროდან აქვს მოხსენებული. ადრინდელს ისტორიას ქართლ-კახეთისას ბ. ჯავახიშვილი არ ეხსენიებს; წმინდა მეცნიერული კვლევის ბრალია, რომ ზოგი პიროვნება, წინად დიდებულად ცნობილი, ახლა მეორე სარისხოვან ადამიანად არის დახატული, როგორც ვახტანგ გორგასლანი; ახ სადავო კითხვა წმ. ნინოს მოდგაწეობის შესახებ უტყუარ ფაქტად არის მიჩნეული და სხვა.

ამ შესანიშნავი წიგნის სამკაულს შეადგენს კიდევ ძველ ნაშთთა სურათები, რომლების გაცნობაც მკითხველს აღუძრავს ბევრს სასმო და თან მწარე გრძნობას ჩვენი დიდებული წარსულისა, მხოლოდ აწინდელი საბეჩავის, უდონობისა და დაქვევითების შესახებ.

არ შემიძლიან კვლავ დიდი მადლობა არ ვუთხრა დაუღალავს მეცნიერს და ნამდვილს მამულიშვილს ამგვარ დაუფასებელ შრომის მოძღვნისთვის; დიდი მადლობის დირსია აგრედვე „ასახალხო ფურცლის“ რედაქცია, რომელმაც თავისი დარიბიჯებით ასეთი გულუხვი ძღვენი დაბეჭდა და თავის მკითხველებს მისთავაზა.

დასასრულ, ვუსურვებ, ვუსურვებ კი არა, გულმხურვალედ ვთხოვ დიდათ პატივცემულ ავტორს, დანარჩენი ორი წიგნიც მალე დაამზადოს და მალე რაგორმე გამოსცეს, თუნდა ხელის მოწერით, რადგანაც ჩვენთვის ძალიან საჭიროა ახლანდელ მთელი ისტორიის მთლიანად გაცნობა-შესწავლა.

დ. ნახ—შვილი

ყვავილები

ელეგია

ოჰ, რა ცუდია ეს ბნელი ღამე,
ღამე უმთვარო, ბურუსიანი,
ირგვლივ ტირილი, ტანჯვა-ვაება
ცხოვრება შავი, კაეშნიანი!..

იმედის ხმანი, გამოძახილი—
გამოძახილი შვებისა მგვრელი,
არსაით ისმის.. არსაით მოსჩანს
სხივი ბნელეთის გამნათებელი!..

უიმედობის ღმერთს შეუპყრია
ძალა სიცოცხლის განახლებისა,
დაუძინია ჩაგრულთა მხარეს,
არ ისმის ჰიმნი გამარჯვებისა!..

ოჰ, რა ცუდია კვალად დუმილი,
ცხოვრება უხმო, უსიტყვო... ძილი;
ოჰ, რა მწველია შავი ცხოვრება,
ტანჯვა-ვაება, კვნესა-ტირილი!..

ს. ვარდოშვილი

—

შორი ტრფობა

შორიდან გიცქერ, ტურფავ, ახლოს მყოფს
და უ-უგეშო ტრფობის მწვავს ალი,
კარგია შენი ხმაც ვერ მწვდებოდეს,
და ვერ გწვდებოდეს შენც ჩემი თვალი;
ახლო ხარ, გიცქერ, და გხედავ სულ შორს,
და ეხიბლავს შორი ეს სიახლოვე,
ვიცი შენს ტრფობას ვერ ვეღირსები,
მაგრამ გულით ვერ გამოგიგლოვე...
უიმედობამ გადამიშალა თვალწინ
არ ყოფნის შავი უფსკრული,
შველას გთხოვ, მაგრამ არ ძალგიძს შველა...
ვინც დაგვაშორა, ოხ, იყოს კრული...
გიცქერ და გულში ტკბილ ტკივილებს ვგრძნობ,
გიცქერ შორიდან და გული მწყდება,
გადის დროა-ჟამი, ტრფობის წყურვილი
უფრო და უფრო მიორკეცდება.
რა ადრე დაჭკნა ტრფობის ყვავილი!..
ოხ, ვინ გაავლო ჩვენში საზღვარიც,
შემბოჭველ ჯაჭვებს მწარ ცრემლებით ვწვავ,
და ვკვნესი, ვკვნესი, ვით ბორიკარი.

ი. სიხარულიძე

—



ვლ. ალ.-მესხიშვილი

...ღმერთია ნოწამე, ჩემის ნებით არც ახლა
გავშორებივარ სამშობლო სცენას...

პოლკ. კ. ჯ. გამყრელიძე
ომში გმირ. მოკ. დასავ. ფრონტზე

მთებში

მსურს ხალხს მოვშორდე, მსურს წავიდე იქიდან შორა,
სად არ არსებობს არც თანხმობა, არც სიყვარული,
სადაც სინათლემ ბევრს სიბნელე ვერ მოაშორა,
სად ერთი ხარობს, მეორეს კი უკვდება გული.

მინდა რომ ამ გვარს სურათებსა ვაშორო თვალი—
მათი ცქერა სულს მიშფოთებს მე, გული მიკვდება...
თუმცა მოითხოვს ჩაგრულთ შველას კაცისა ვალი,
მაგრამ არ ძალმიძს მე ამის ქმნა... რა გაკეთდება?..

და ამისათვის მოვისწრაფვი მე თქვენსკენ, მთებო,
რომ დავივიწყო მთელი ტანჯვა ჩაგრულ გულისა,
რომ გაგაქარვო მწვავე სევდავ, გულზე ნადებო,
და დაგივიწყო შენცა ხვედრო დაჩაგრულისა...

—

... უკვე მთებში ვარ... გარშემო ტყე ამწვანებული...
იქ, შორს მთის წვერი თოვლიანი მზეზე პრიალებს...
აგერ ნაპრალი—ძირს ვერ ხედავ. . ჩაბნელებული,
იქ კი ნაკადი მილიკლიკებს, ძირს მისჩხრიალებს. .

უცბად შევჩერდი... მე... ნაკადი... რა განსხვავება!..
ვსთქვი, თუ სად მირბის მთების შვილი ანკარა, წმინდა?..
ბარათ, სად არის მხოლოდ ტანჯვა, ტირილ-ვაება,
უგულო ხალხთან, ძირს, სად ყოფნა ასე არ მინდა?..

მიველ და უთხარ,—მოცისკროვნე ცრემლო მთებისა,
რომ მისწრაფვი ნეტა იცი რა გელის ბარად?
—შეგიერთდება შენ ტალახი ნაპირ-გზებისა
და შენს სიწმინდეს, სისპეტაკეს დაკარგავ მარად!..

ნაკადმა თითქოს გაიგონა ჩემი სიტყვები,
მაგრამ არ შესდგა,—შხეფთა სრბოლით გზას განაგრძობდა;
აქ მას ხვდებოდა კლდე, ნაპირი, იქით ბორცვები...
ხმაურობდა და ჩემს პასუხად ამას ამბობდა:

„დიალ მივდ ვარ დაბლა წმინდა ნაკადი მთისა,
რომ შეუერთდე სხვა ნაკადებს—გავხდე მდინარე...
და შორს წავიღოთ ჩვენ ტალახი ამა ქვეყნისა...
გრილი ტალღებით გადავბანოთ ტანჯული მხარე.

და ამისათვის ქვევით ჩქარა ბისთვის მივრბივარ,
რომ მივეშველო ბარში მცხოვრებს, რომ მივეხმარო,
რომ მშრალი ყელი შრომის შვილთა მე გაუსველო
და მათი ტვირთი მეც წავიღო... გავიზიარო...

—

წასვლ დავბრუნდი, რა მომესმა ესე სიტყვები...
ხალხ დაუბრუნდი... მთებიდან მე დავეშვი ბარად,
— იქ, სადაც ისმის შემზარავი ტირილის ხმები—
ცრემლი სიცილზე რომ შევსცვალო, ვეცდები მარად...

1912 წ. **მიწიშვილი**

ნაღვლიანი სიმღერა

ცრუ ბედის წერავ, სად მიხვალ შეუმჩნეველის ფრენითა,
საით მიათრევ სიცოცხლეს, კვნესით, ხან ალმაფრენითა?
საით მიგყევარ ჭაბუკი ნაღვლად ნაქცევის გულითა,
ბაგეზე შემშრალ ღიმილით, დამჭკნარის სიყვარულითა?
იმედი ჩემი მომავლის—ნათელი მზისა დარადა,
სად მიგაქვს კუბოს მდებარე, სადა?—სამარის კარადა?

—

მიხვალ და შენსა ნაკვალევს თანა ვდევ აჩრდილივითა,
გულს მიწვავს შავი რამ ფიქრი, სიკდილის სახმილივითა,—
დავშორდი წარსულს.. აწმყოში გადმომაბარგა სნებამა,
ოცნება კვნესამ წამართვა და ლოცვა—მწუხარებამა;
გარს ჭმუნვის ცეცხლი მომეკიდა, ცეცხლი—სულისა მდაღველი,
ჩემს ყვავილიან ფიქრებში ნისლად ჩამოწვა ნაღველი...

—

ნაღველო, ჩემო ნაღველო, სახევ სიცოცხლის გმობისა,
ამხანაგი ხარ მუდმივი ჩემის ფიქრის და გრძნობისა.
შენ შემხვდი ყრმობის რიჟრაჟზე და ამყე თანამგზავრადა,
ცრემლსა და ეკალს სიობლის ფეხქვეშ მიფენდი სტავრადა!—
ნუ მიღალატებ და ბარემ მომყევი საფლავთანაცა,—
თუ ყრმობის ნანა შენ მითხარ,—მითხარი სულთათანაცა!..

—

და როს დაჭრილ გულს კუბოში უსიზმროდ დაეძინება,
ზედ შავი მიწა ფხვიერი წვეთ-წვეთად დაედინება,
უდროოდ შელამებული დღე აღარ გამითენდება,
სატრფო არ მოვა საფლავთან, გულცივს არ გაახსენდება,
თვალს არ დაუშრეტს მნახველსა, ცრემლები თანამგრძნობლობის,
დაჰბერს ქარი და გაჰქრება ფერფლიც კი ჩემის ობლობის,—
ნურც მაშინ დამთრობ, ნაღველო, აღზრდილო გულის შხამშია,
მპოკე და ერთად ვ მკაბავროთ სხვა, ახალ დასაბამშია!.

ს. ფაშალიშვილი

ოსკარ უაილდი
ინგლისელთა გამოჩენილი მწერალი, გარდ. 15 წლ. შესრ. გამო

უაილდს

ვით ეგ სული ჩემი ორთოლაც—ანდროგინა—არის ნაზი—
არის მთვარის ყვავილები—ვერცხლის ხიბით მონ ხაზი...

ჩემი ლოცვაც დავამგაკსე მაგ ჰანგების მზიურ კრებულს;
ვერ ვაკავებ სულის სწრაფვას, მზ ს თამაშით აჩანჩქრებულს...

და მეც ვეძებ სილამაზეს: გამოძახილს ცისკრის ხმებში,
შუადღისით მზის წირვაში, ღამით მთრთოლავ ყვავილებში.

შენც გლოცულობ... და შენსავით კაცთა შორის დაკალ ობლად.
სული შენი თავს მევლება უკვდავების მახარობლად..

ჰე, თვისტომო სანატრელო, გიხსენიებ მუდამ ქებით,
მსურს შევამკო მშვენივრება, მსურს გიმღერო დავიწყებით...

გ. ლეონძიე

ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 48)

გიორგი (იქით, მეტად შეშფოთებული) ეს კი მეტის-მეტი უზრდელობაა.

კოვალენსკი. ჩემი იმპერატორის უმაღლესის ბრძანების თანახმად მე ჩემი მოხელე ვაახელი შაჰ ბაბა-ხანს, მეგობრულის ბარათით და იმპერატორის კეთილის მოკითხვით და რადგანაც ჯერ იმ ბარათზედ არავითარი პასუხი არ მომსვლია და თუ თქვენ მოგანდეს მომცეთ რამე პასუხი, მე დიდის სიამოვნებით დაგიწყებთ მეგობრულ საუბარს.

ჰაჯი. მაგისთანა მონდობილება ამ ჟამად მე არა მაქვს, მე მომანდეს მხოლოდ ფირმანის და ბარათის მირთმევა მეფე გიორგისათვის და შაჰის უმაღლესი ბრძანების ცამოცხადებაც. თქვენს მოხელეზე მოგახსენებ, რომ შაჰისაგან ღირსეულად იყო მიღებული და როდესაც ბაბა-ხანი თეირანიდან ყანდაღარისაკენ ლაშქრით წაბრძანდა, მაშინ თქვენმა მოხელემ პასუხი წამოიღო და ამიტომაც ის სადაც არ-ს, აქ უნდა გაჩნდეს.

კოვალ. თუ აგრეა, როგორცა ბრძანებთ, აქამდისინ უნდა მოსულიყო, მაგრამ კი ჯერ არსად არა სჩანს.

ჰაჯი. ჩვენი ლაშქარი ამ ჟამად სდგას ერევნის მაზრაში საქართველოს საზღვარზედ და თქვენ ეხლა დიდი შიში მოგელისთ. ამ ლაშქრის შემოსევა არ ასცილდება შენს სამეფოს და მე, შენი სიყვარულისა და შენი ერთგულების მიზეზით, გირჩევ, დაუყონებლივ დაემორჩილო შაჰის ბრძანებას და შეუსრულო ის, რაზედაც მე ახლა მოგახსენე, რომ უკიდურესს მდგომარეობაში არ ჩავარდე, ეს არის პირველი საშუალება, რომ შაჰის წყრომა და მრისხანება თავ დან აიცილო. ამასთანავე, ნუ დაივიწყებ, რომ საქართველო დიდი ხნიდან დაწყებული სპარსთა შაჰის სრულს საკუთრებას შეადგენს და ამიტომაც ყოველი შენი უარი და წინააღმდეგობა უალაგო იქნება. (გიორგი თან და თან უფრო დეღდება)

კოვალ. თქვენი სიტყვა და თქვენი ქცევა, ბატონო ელჩო, ძალიან მაკვირვებს. მაკვირვებს კიდევ იმიტომ, რომ თქვენ ვითომც განზრახ ივიწყებთ, რომ გიორგი მეფე რუსთა იმპერატორის მფარველობის ქვეშ ბრძანდება. გირჩევთ, ბატონო, ეს არ დაივიწყოთ და დარწმუნებულიც უნდა იყვეთ, რომ რუსთა იმპერატორი აგრე ადვილად არ დასტოვებს ხოლმე თავის უმაღლეს მფარველობას.

ჰაჯი. ბატონო ვეზირო, ტყუილად ირჯებით რჩევის მოცემას! მე ძალიან კარგათ მესმის რასაც ვამბობ და რასაც ვმოქმედობ და არც არას ვივიწყებ, როგორცა ბრძანებთ. მე მხოლოდ გიორგი მეფის ერთგული ვარ და მეცოდება ავადმყოფი უხვაიშნო ეს მეფე, იმიტომ რომ მტრის ლაშქარი საზღვარზეა და თავის თავს დაიხსნის მხოლოდ, თავისი ასულის თამარის მოცემით.

კოვალ. რუსეთს ამ ქვეყანაში არავითარი მტერი არა ჰყავს და თვითონაც პირველად თავს არავის არ დაეცემა და თუ გაბედავს ვინმე რუსეთის მფარველობის ქვეშე მყოფის წინააღმდეგობას, რუსეთი იპოვის ძალას, რომ დასძლიოს და...

ჰაჯი. სპარსეთს რუსეთთან ამ ჟამად არავითარი საქმეები არა აქვს და თქვენ ტყუილად ცხარობთ. ჩვენ საქმე გვაქვს გიორგი მეფესთან და არა თქვენთან! და ჯერ არც არავის სხვასთან!.. შენ, მეფევ, თუ არ აჩქარდები შაჰის ბრძანების ასრულებას... გიცხადებ, რომ ჩვენი ჯარი აუცილებლად შემოესევა საქართველოს, რათა დააჯილდოვოს ყოველი მორჩილი და შაჰის ერთგული და მხედართა ჩლიქთა წინაშე დაამხოს ყოველი ურჩი და მოღალატე ირანთა მფლობელისა!

კოვალ. ბაბა-ხანი ვერ გაბედავს ჯარით შეესიოს რუსთა ქვეყანას, იმიტომ რომ...

ჰაჯი. ოჰ, ბატონო ვეზირო! თქვენ სულ თქვენსას გაიძახით! მე ხომ მოგახსენეთ, რომ ჩვენ, სპარსთა, თქვენთან ჯერ არავითარი საქმე არა გვაქვს და ერთიც ეს მიბრძანეთ, სად არის აქ რუსთა ქვეყანა!.. ეჰ... რასა ბრძანებ... საქართველო უხსოვარ დროიდან ეკუთვნოდა სპარსეთს და ახლაც ეკუთვნის ამას! (გიორგიზე მიუთითებს) სად არის აქ რუსთა ქვეყანა, რასა ბრძანებთ, ეს სპარსთა მაზრა არის და ესა ბრძანდება ამ მაზრის

უფროსი!.. ჩვენ საქმე გვაქვს მეფე გიორგისთან და ამიტომაც თქვენ ვერ გავერევით ჩვენს საუბარში, ამიტომაც ისევ იმასვე მოგახსენებთ, რომ ბაბა-ხანი მოვალე არის ბოლო მოუღოს აქაურების ურჩობას და მოსპოს ყოველი წინააღმდეგობა, ყოველი საქმე თავის წეს-რიგზე დააყენოს. ბაბა-ხანი ითხოვს შენს უფროს ძეს, დავითს აქაურს მზევლად, რომელსაც ღირსებისამებრ დააჯილდოვებს და უხვს წყალობას მიუნიჭებს. თავის შვილიათვის, აბბას-მირზასათვის კი ითხოვს შენს ქალს თამარს. შენი ერთგულობის და ქკვევრდომობის აღსანიშნავად უნდა შეასრულო ეს უმაღლესი ბრძანება დაუყონებლივ, უარის უთქმელად და მაშინ არც შენ მოგაკლებს თავის წყალობას... და ეს თუ არ მოხდა, — მოვალთ და ძალით წავიღებთ იმას, რასაც ახლა ვთხოულობთ!

კოვალ. (წამოხტება გაბრაზებული) მაშ მოდი და ძალით წაიღე! ახლა კი გაეთრიე აქედგან! ამას გიცხადებს შენ რუსეთის ვეზირი!

ჰაჯი. (აღშფოთებული წამოვარდება) გაეთრიე?! ჰ... ჰმ! (ამაყად შესტქერის ორივეს მტერს ხანს, მერე უცბად გაბრაზდება და სასჩქაროდ გავა ოდიანს კარებში სალამის მიუცემლად).

VIII

მეფე გიორგი და **კოვალენსკი**

კოვალ. (შეტად აღელვებული) ჰმ!.. ჰხედავთ, რითი გვემუქრება!..

გიორგი (სრულებით აშლილია, ძლივს ლაპარაკობს) ოჰ, რა სამძიმოა ეს ყველაფერი, ოჰ, რა საწყენია!.. რა იქნება ჩვენ თავს, რა მოგველის?

კოვალ. დამშვიდდით, დამშვიდდით თქვენო უდიდებულესობავ. ნურასა სწუხხართ, ყველაფერი კარგად იქნება. წამობრძანდით, მიგაცილებთ თქვენს საწოლ ოთახში, მოისვენეთ, ცოტათი დაღალული ხართ, ნუ დაძაბუნდებით!

გიორგი. როგორ არ დაძაბუნდეს კაცი, როცა ამისთანა შეურაცხყოფას ისმენს და ამისთანა თავგასულ მუქარას... ოჰ, ერთს რამ უბედურებას დაგვატეხს თავს ეს ჰაჯი-იბრაჰიმი!

კოვალ. არა, ბატონო, არა! დამშვიდდით, ვერაფერსაც ვერ დაგვატეხს, ვერაფერს, დამიჯერეთ.

გიორგი. ნოგორ არა, აი ჰნახავთ! ბაბა-ხანთან ჩემზე ბევრს რასმე მოიგონებს, ის გაბრაზდება და...

კოვალ. დაე, მოიგონოს ტყუილები, რამდენიც უნდოდეს! თქვენ ხომ არ დაითხოვეთ აქედან, მე გავაგდე! მე თქვენ კი არ მისცემთ პასუხს ვიღაც ბაბა-ხანს, მე მივსცემ, მე! თქვენ კი არ ებრძვით იმას, არამედ — მე! მაშ, აბა რაზედ სწუხხართ, რომ არ მესმის?! მიაფურთხეთ ყველაფერს!.. ოჰ, რა წითელი კოპია ეს ვიღაც ჰაჯი-იბრაჰიმი რომ იმის გულისათვის თავი შეიწუხოთ. ბრიყვი! უზრდელი! ბაბა-ხანი, მგონია, ისეთი სულელი არ იქნება, რომ თავის ელჩს ტყუილები დაუჯეროს და იმის ტაშის დაკვრაზე ბუქნა ჩამოუაროს!.. ჰა?.. ჰხედავთ რა ყოფილა? არა, კარგად კი დაგვიმღერა სპარსული ბაიათები! ეშ აკმა კი წაიღოს იმისი თავი!

გიორგი. ოჰ, რა მწყინს ეს ამბავი!

კოვალ. ეჰ, კარგია, ბატონო ჩემო... მე, მე დამანებეთ თავი, მე ვიცი და იმათ... თქვენ აქ არაფერი საქმე არა გაქვსთ-რა!..

IX

იგინივე და **სუყველანი.**

დავით. როგორა ბრძანდები, მამა ჩემო?

გიორგი. ახლა ისე კარგადა ვარ, რომ შენ არც კი გინდა, რომ ასე ვიყვე! შენ გაჰბედე და ხმალი ამო..

კოვალ. (გაწუწეტ ნებს) კარგი, კარგი, თქვენო უდიდებულესობავ, თავი დაანებეთ... ახლა მაგისი დრო არ არ..ს.. სჯობიან მოისვენოთ და მერე ფიცი მიიღოთ ..

გიორგი. კარგი! მიმიყვანეთ ჩემს საწოლში! ოთარ, იქ მომართვი ფიცის ფურცელი და საწერ კალამი, ხელი მოვაწერო.

კოვალ. აი, ბატონო, ფიცის ფურცელი! (ამოიღებს ბორტფელიდან და გიორგის მიაწოდებს).

გიორგი. (გაამოართმევს და აღელვებული გადაჭხედავს) კარგი!.. ოთ რ!.. ხელს რომ მოვაწერ, შენ მერე ჩემი ბეჭედი დაასვი.

ოთარ. ბატონი ბრძანდები შენი ჭირიმე!

ბაგრატ. (კოვალენსკის) ვერ წარმოიდგენთ, ბატონო, რა გაბრაზებული გავარდა გარეულ ელჩი ჰაჯი-იბრაჰიმი! რა აწყენინეთ ისეთი რომ...

კოვალ. ჰაი იმას... წინ წყალი და უკან მეწყერი!..

გიორგი. (მეტად სუსტად) ძალიან დავიღალე, მეტისმეტ სისუსტესა ვგრძნობ! (გულზე ხელს მიიდებს) აქ... აქ... როგორლაც უცნაურად მიცემს გული... აქა მტკივა რაღაცა... ძალიან... მიმიყვანეთ საწოლში! (დავითს და კოვალენსკის ხელი-ხელში გაურიდი მიჭეავთ გიორგი თავის ოთახში მეტად დასუსტებული. შეჭეგება თან ოთარიც და შეაქვს ფიცის ქაღალდი)

ერთი იმათგანი. როგორ დასუსტდა!.. ღმერთო, ამყოფე კარგად ჩვენი მეფე!

ოთარ. (მალე გამოტრიალდება გიორგის ოთახიდან) ბატონებო! გიორგი მეფემ ვერ აიტანა წყენა, გულის ფრიალი მოუვიდა და ლოგინთან მისვლაც კი ვერ მოასწრო, ჩვენ ხელშივე უცბად გარდაიცვალა...

ყველანი. გარდაიცვალა!! (ქუდებს მოიხდიან)

დავით. (კოვალენსკი და დავითი გამოვიდენ გიორგის ოთახიდან) ასე მოულოდნელად აღესრულა!.. ახლა რაღა...

კოვალ. დამშვიდდით, ბატონიშვილო, დამშვიდდით! მეფის სიკვდილი ყოველ წამს იყო მოსალოდნელი, მეტადრე ამ ბოლოს დროს მეტად სუსტად ბრძანდებოდა. იმისი მოჩრჩენის იმედი მე არა მქონდა, დამშვიდდით, ბატონო! კანონისამებრ თქვენ იქნებით, დროებით, მამი თქვენის მოადგილედ, ჩემს ხელთამძღვანელობით. (დავითი, ოთარი და ბაგრატი ერთად შეეგუფდებიან და ჩუმად დაპარაკობენ.) მიხმეთ აქ ჩემი დარაჯა! (ერთი ქეშიკი გავა ამ ბრძანების შესასრულებლად)

დავით. (ბაგრატს) ფიცის მიღებაც ვერ მოასწრო და ხელიც ვერ მოაწერა.

კოვალ. ბატონო ოთარ! ორი ქეშიკი შეგზავნეთ მეფის საწოლში სამზერლად. ბატონო ბაგრატ! გაისარჯეთ და მარიამ დედოფალს მოახსენეთ ეს სამწუხარო ამბავი. დედოფალი ახლა სიონში ბრძანდება წირვაზედ. ანტონ კათალიკოსთან მიბრძანდით და აცნობეთ რაც მოხდა. მაგრამ, მართლა, კათალიკოზს ხომ იქვე ჰნახავთ, სიონში. (შემოვა რვა რუსის ჯარის კაცი და ამათი უფროსის ჩვენებით კარებებთან დადგებიან ორ-ორი და ორიც სამეფო ტახტთან) ხვალ მობრძანდით ღვთით აღსრულებულის მეფე გიორგის მირონცხებაზე. საუკუნოდ იყოს ხსენება გიორგი მეფისა! ამინ!

ყველანი. საუკუნოდ იყოს ხსენება გიორგი მეფისა, ამინ!

კოვალ. (იქით) ჰმ!.. საქმე იხლართება როგორლაც... ჰმ .. ვერც ფიცი მოასწრო და ხელიც ვერ მოაწერა... ხელ-მოუწერელი ფიცის ფურცელი რას ვარგა? ფუჭია!.. მაგრამ საქმეს ეშველება, თუ მარიამ დედოფალმა მოაწერა... ოთარს მეფის ბეჭედი აბარია, მე არამც და არამც არ მომცემს... უნდა დავაჯერო როგორმე, რომ ბეჭედი დაუსვას... ჰმ!.. აქ კი არა გამოვიდეს რა სახათაბალო... უნდობი ხალხია... (ხადხს) აბა, ბატონებო! წავიდეთ, ახლა!..

ყველანი. (დაიჩოქებენ ქუდ-მოხდილნი) ღმერთო, შენ განუსვენე სულსა მონისა შენისასა! (ყველანი გავლენ)

ფარდა

კ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)

პოდპორ. ალ. დავ. მაჭავარიანი

გერმანიის ფრონტზე ცხარე ბრძოლაში ორგზის დაჭრილი, ტყვედ წაყვანილია გერმანიაში,

ხაშურის ქართ. დრამ. წრის წლიური კრება

ხაშურის ქართ. დრამ. წრის კრება შესდგა ხაშურისსა ხალხო სათეატრო დარბაზში 1/XI, 40 სრულ-უფლებიან წევრის დასწრებით, ნ. იმნაიშვილი სთავმჯდომარეობით და ნოე დეკანოზის მდივნობით. განიხილეს: ა) 1915 წ. ანგარიში; ბ) მომავალ 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვა; გ) კომეტობისა და სარეგიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და დ) მიმდინარე კითხვები.

წრის კომეტობის თავმჯდომარემ ინჟ. კონ. ძნელაძემ ვრცელი, მეტად შინაარსიანი მოხსენება წარუდგინა კრებას და უტუარის ციფრებით აღნუსხა წრის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა.

წრეს ჰყოლია წლის განმავლობაში 60 წევრი, რომელთაც წესიერად უხდიათ საწევრო გადასახადი და სხვა მხრივაც ხელი შეუწყვიათ თეატრისათვის. წრეს აქვს დაქირავებული საკუთარი სათეატრო დარბაზი, რომელიც იტევს საშუალო რიცხვით 200 მეტს მაყურებელს. წლის განმავლობაში გამართულა 44 ქართული წარმოდგენა და სალიტერატურო საღამო (35 დ. ხაშურში,—დასწრები 4382 მაყურებელი, 3—დ. სურამში—დასწრ. 430 მაყ., 2—დ. ბორჯომში—დასწრ. 218 მაყ. და 4—სადგურ გომში,—დასწრ. 786 მაყ.). წლის განმავლობაში წრეს მოუწვევია ობიელისადგან საგასტროლოდ: ნინო ჩხეიძე, ს. შოთაძე, ს. ქიქოძე, ელ. ციმაკურიძე; ბ.ბ. გასო აბაშიძე, მ. ქორელი, ი. ზარდალიშვილი და ნიკო გოცირიძე. საზაფხულო სეზონისათვის რეჟისორად მოწვეული იყო ი. ზარდალიშვილი და მსახიობქალი ს. შოთაძე. დაუდგავს: 57 პიესა: დრამები და კომედიები (ორიგინ. და ნათარ.)— წრეს ჰყოლია 20-დე მუდმივი სტენის მოყვარე ქალ-ვაჟი; კარდა დ. ხაშურისა, კომის მოწინავე პირთა მხურვალე დახმარებით, კომეტობას სადგურ გომში მოუწყვია სტენა—სასალხო ია-ფასიან წარმოდგენების გასამართავად—სამეურნეო ამხანაგობის შენობაში, რომელიც მოელის ზაფხულით უფასოდ დაუთმია ხსენებულ ამხანაგობის კომეტეს თ-დ ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილს.

წრის წლიური შემოსავალი ეოფილა 3319 მ. 29 კაპ., გასავალი 3791 მ. 99 კაპ. წრის დეფიციტი — 472 მან. 70 კაპ., რაც ზარალათ არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდგან ამ ფულით კომეტობას შეუძენია დეკორაციები, კარდერობი და სხვა საჭირო ინვენტარი.

გომის განყოფილების ანგარიში:

4 წარმოდ. შემოსულა—500 მან. 98 კაპ. გასავალ—279 მ. 8 კ. წმინდა მოგება—221 მ. 90 კ. რადგან გომის მუდმივ სტენის მოსაწყობად საჭირო იყო სტენა და სხვა საჭირო ნივთები, ამიტომ კომეტობას, გომის კომიტეტთან შეთანხმებით, შეუძენია 203 მან. 66 კაპ. ნივთები. ამ რიგად კასაში დარჩენილა ფულად 18 მ. 24 კაპ. დ. ბორჯომში დადგმულს წარმოდგენებს მხოლოდ ხარჯები დაუფარავს და საამაკეუროდ სურამს კი მოგება მიუცია წრისათვის. კარდა ჩვეულებრივ და საქველმოქმედო წარმოდგენებისა*), წრეს თავისი საამო დამსახურებული სტენის მოყვარისთვისაც დაუდგამს საბენეფისო წარმოდგენა, რომელთაგანაც მობენეფისეთ რგებიათ საშუალო რიცხვით 336 მან-დე.

სარეგიზიო კომისიას ორჯერ მოუხდენია რეგიზია წრის საქმეებისათვის და უმნიშვნელო დეფექტების კარდა, ანგარიშები ყველა რიგზე ეოფილა. წლიურ ანგარიშების მოხსენების შემდეგ, თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას მომავალი 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვა; კრებამ ცოტაოდენის შენიშვნებით, უცვლელად დაამტკიცა წლიური ანგარიში, მიიღო 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და ძველ კომეტობას, ნაეოფიერის მოდგაწეობისათვის, მადლობა გადაუხადა.

ბოლოს აირჩიეს ახალი კომეტობა და სარეგიზიო კომისია: ფარულის კენჭით არჩეულ იქმნენ კომეტობაში: ი. ეაკეშვილი, გ. ძნელაძე, თ ჭუმბურიძე, რატიანი და ნ. კახაძე. ამ დღეს მომხდარ არჩევნებში ვერც სტენის მოყვარეთა უმრავლესობამ და ვერც ზოგიერთა წევრმა მა-

*) შარშან ხაშურის დრამატ წრემ გამართა 5 საქველმოქმედო წარმოდგენა:

1. თბილისის გადამწყვარ ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ (შემოვიდა 30 მ. 40 კ.); 2. აკაკის ფონდის—(შემ. 53 მან. 95 კაპ); 3. ვეფ-ფშაველას ფონდის—(შემ. 13 მან. 16 კაპ.); 4. ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს—(შემ. 67 მან. 51 კაპ.) და სხ.

ნაწილობა ვერ მიიღო სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო, და, როგორც მეორე დღეს გამოირკვა, ამ არჩევნებით გულსტკენი დარჩა, რის გამო შირვანდი არჩევნები გაუქმეს ახალი არჩევნების მოსახდენად. 7 გიორგობისთვეს შესდგა ხელ-ახალი კრება, რომელშიც აირჩია გამგეობაში: ინგ. კონ. ძნელაძე, თეიმ. ჭუმბურიძე, არ. დვინიაშვილი, ნოე კლდიაშვილი და ივან. ტეტსლაძე; სარევიზიო კომისიაში: ვლ. ჩიქოვანი, კონ. გაგუ და ივან. გვარამაძე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ახალი გამგეობა, ახალს ცხოველმყოფელს საქმიანობას შეიტანს ხელოვნების ტაძარში, უმთავრეს ანგარიშს გუწევს სახალხო ათვ-ფასიან წარმოდგენების სისტემატიურად მართვას და ენერგიას არ დაზოგავს იმ სასარგებლო საქმისათვის, როგორიც არის სათეატრო ხელოვნების მკვიდრს ნიადაგზე დაუენება პროვინციაში.

ნიკო გურული

ქართული სახიობა

გრ. ამაღლობელის ლექციამ („ევროპის ომი და საქართველოს ახალი ეპოქა" განმეორებით წაიკითხა „ხარფუხ. საზ. კლუბში") ნათლად გვიჩვენა, რომ შეიძლება კაცს საკმაო ცოდნა ჰქონდეს, მრავალი მასალა, მაგრამ შესაფერად ვერ გამოიყენოს. შეუფერებელია, როდესაც მოწინააღმდეგის დაჯერებას, გამტყუნებას ანუ გადმობირებას გამასხარავებით, აბუჩად აღებით ცდილობს ადამიანი, მით უმეტეს ლექტორი—საზოგადოების წინაშე მოლაპარაკე. ასეთი ხერხი ერთხელ და სამუდამოდ დამგმობილ უნდა იქმნას. თანდათანობითი განვითარების კანონი თუ გვწამს, ისიც უნდა ვიწამოთ, რომ ჩვენი ქვეყანა წინსვლის დროს ერთი საფეხურიდან მეორეზე ადიოდა: მესამოცე წლების მოღვაწენი—ძილში მყოფ დარღვეულ მამულის გამოფხიზლება-გაერთიანებისა და მამულიშვილობის მქადაგებელნი, ოთხმოციანნი—გლეხთა მოტრფიალენი, ოთხმოცდა-ათიანნი—მესამე დასელნი, ჩვენში სოციალისტურ აზრების გამავრცელებელნი, ცხრაასიანნი—მუშათა მოძრაობის შემქმნელნი და ახალგაზდა საქართველოს ჩანასახის მერცხალნი,—ერთი თაობა მეორესა სცვლიდა, ერთი ხანა მეორეზე შენდებოდა და ნუთუ ერთერთის ამისი დაფოლება შეიძლება? მით უმეტეს, განა შეიძლება დაფოლება ნ. ჟორდანიასი და მისი მიმდევრებისა, რომელთაც შეიძლება—ვინ იცის რა მოსაზრებით—შეცდომებიცა ჰქონდათ, მაგრამ ქართველი ხალხის დიდი უმეტესობა გარს შემოიკრიბეს და გათვითცნობიერების გზას შეუყენეს? ჩვენი დროის ვალია ილია—აკაკის მემკვიდრეთა—ნ. ჟორდანიასი და არ. ჯორჯაძის მიმდევართა შეთანხმებული მუშაობა—სამშობლოს საკეთილდღეოდ მთელ კაცობრიობასთან ერთად და ამის ნიშნებსაც ვხედავთ. თვით იმავე ლექციაზე შევნიშნეთ ქართველი მუშები, ეროვნულად გათვითცნობიერებული და ცოცხლად, შეგნებით მოკამათე. აი, ვისია მომავალი და მათს გათვითცნობიერებაში არა ნაკლ ბი წილი უძევს ნ. ჟორდანიას (მასთან არ. ჯორჯაძესაც), რომლის აბუჩად აღება არავის შეეფერება.

ლექცია სამი ნაწილისაგან შესდგებოდა, მოკლედ განიხილა საქართველოს წარსული (დავით, ბაგრატ, თამარი და სხ.) მესამოცე წლების მოღვაწეთა (ილია-აკაკის) ამაგი, მარქსის მოძღვრება, გააკრიტიკა იგი და მისი ქართველი მიმდევრები (უმთავრესად ნ. ჟორდანია), სხვა და სხვა ქართ. ჯგუფნი, უმთავრესად ს.-ფედერალისტები, რომელთაც გამარჯვება-სიმართლე—მიაკუთვნა და, როგორც წინადაც აღვნიშნეთ, ლექცია ასე და ბოლოვა: ყველა მიმართულების ჯგუფნი შეთანხმებით უნდა ვმუშაობდეთ, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოსო".

ლექციას მრავალი საზოგადოება დაესწრო და ბევრმა ყურადღებითაც მოისმინა (თუმცა, როგორც გადმოგვცეს, ლექტორი შეუძლოდ იყო—პირველად უკეთ წაეკითხნა). ახალგაზდა ლექტორი თუ ამ ლექციას კიდევ სადმე წაიკითხავს, კარგი იქნება მრავალსიტყვაობასა და სამიტინგო-საკამათო კილოს აიცილებდეს.—„ხარფუხის საზ. კლუბის" მამასახლისთაც უნდა უმადლიდეთ, რომ ასეთ საღამოებს უმართავს თავის წევრთა და სტუმართ. ექიმი შტოკმანი

ქართ. დრამ. დასმა სახალხო სახლში 24/XI წარმოადგინა ცნობილი პიესა „ვიდრე ხვალ, უფალო?" რასაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ქრისტეანობის პირველი ხანა, ნერონის მესისხრობა, სიყვარულის ნაზი გრძნობა და სარწმუნოებრივი აღფრთოვანება—პიესაში შესაფერი ფერადებით არის გადმოღებული და მაყურებელიც მუდამ ხალისით უსმენს. ჩვენმა დასმა ეს პიესა შესაფერისად ვერ დასდგა.

ამავე დასმა 30/XI ესიკოვსკის ცირკ-რეკორდში წარმოადგინა „ჰოიდიპოს მეფე", სოფოკლეს ანტიური ტრაგედია, თარგ. კონსტ. ანდრონისა. გვინახავს წარმოდგენაზე მრავალი ხალხი, მაგრამ ამ საღამომ ზღვა ხალხი რომ მოიზიდა—ამის მსგავსს არასოდეს შევსწრებივართ. მთელი ცირკის ვეება დარბაზი გაიჭედა და დიდძალი ხალხი უადგილობის გამო უკან გაბრუნდა. ხალხის სიმრავლემ, ერთმანეთის ადგილების დაჭერამ ბევრი არევ-დარევა გამოიწვია. დასის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიესა შესაფერის სტილით დაიდგა: ძველებური სვეტებიანი სასახლე, ტიპიური გრიმები, მომქმედ პირთა ნაწილის ქუჩის (ხალხის) მხრით შემოსვლა არა ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ალ. იმედაშვილმა (ჰოიდიპოს), გ. იშხნელმა (ტირე-

ზი), ვ. გუნია (მოამბე), დ. მგალობლიშვილმა (კრეონი), მ. სარაულმა (ქურუმი) ცხოვლად განასახიერეს ნაკისრი როლები. განსაკუთრებით ძლიერი იყო ალ. იმედაშვილი და შეუდარებელი გ. იშხნელი. საკმაოდ მთლიანი სურათი შექმნეს მხევლებმა და მოხუცთა ხორომ. ან. ქიქოძე (იოკოსტა) ალბად როლში ვერ გრძნობდა თავს. ბრბოს შემოსვლა—ღაღადი ცოცხალი იყო.

წარმოდგენამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრი ვაი-ვიში გამოიწვია, ბევრი წვერ-ულვაშიანიც ააცრემლა და დამსწრეთა სამართლიანი უკმაყოფილება (უწესრიგობით) დაახშო. ზედიზედ სამჯერაც რომ დაიდგას, ხალხი მუდამ დაესწრება. უსავანო

ბაძოს დრამ. წრემ. კვირას 29/XI წარმოადგინა „სიმდიდრის მსხვერპლი“ და „დატრიალდა ჯარა“, ქ-ნ ქილარჯიშვილის ხელმძღვანელობით (ვ. შალიკაშვილის ავადმყოფობის გამო). სცენის მოყვარეთა შორის როლები თითქმის შესაფერისად იყო განაწილებული ბ. ჯიქიას (ალექსანდრე) გარდა. სხვა მოთამაშეთა შორის აღსანიშნავი არიან: ქ-ნი ქილარჯიშვილისა (თამრო) და ქ-ნი წულუკიძე (ქეთევან), რომელთაც, როგორც ყოველთვის, არ უღალატიათ თავიანთი როლებისათვის. ბ-ნმა ა. ჭუმბურიძემ კი (გიმნაზისტი დათიკო) ყოველ მოლოდინს გადააჭარბა თავისი მოხდენილი თამაშით, დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. დანარჩენი მოთამაშენი ხელს უწყობდენ ანსაბლს. ხალხი შედარებით ცოტა დაესწრო. სან.—

„მუსულმანთა აუდიტორიაში 21/XI წარმოდგენილი იქმნა: „შეშლილ ს წერილები“ ნ. გოგოლისა. ვოდ. „საღამოს ერთი ცხვირი ხერია“, „დატრიალდა ჯარა“ და „პრიკაშჩიკი შკაფში“,—მიუხედავად იმისა, რომ „გლავნი რეჟისორიცა“ ჰყავდათ და ბ. მირველოვიც რეჟისორობდა „ხელოვნობას“ ხელოვნობა არ ეტყობოდა: არც ერთმა მოთამაშემ როლი არ იცოდა, არ იცოდენ ხმა სად აემღერებინათ, ან დაედაბლებიათ... ორ-სამ როლს ერთი და იმავე გრიმით თამაშობდენ... ნ. გოგოლის „შეშლილი“, თუმცა ბ. კ. მეჭედლიშვილი „187-ой разъ“ უსუფლიორობ კითხულობდა, კაი შარჟი იყო, მხოლოდ საზოგადოების შეუფერებელი. ვოდევილები ძალიან მკრთალად ჩაატარეს (მაყურებლებზე მოთამაშენი მეტს იცინოდნენ). „დატრიალდა ჯარაში“ ექიმი კოტე (ჟორჟ-დე-მარტინი) კაი ქართველ მსხ ხუ ს ნ ააგავდა, მსახური სოსია (მირველოვი) კი ქალაქელ ქუჩის ვაჭარ ომეხს, რომელსაც ხშირად ავიწყდებოდა სიმთვრალე... მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე „გლავნი რეჟისორიც“ ეწერა, „ადმინისტრატორიც“ და „რასპორიადიტელიც“ ყოველივე უწესრიგოდ იყო, გარდა წარმოდგენის დაწყ ბისა... ფასები ხუთ შაურიდან მანეთ ნ ხევრამდე იყო. გამიგონია—სულ არაობასაო. მაგრამ, ღმერთმა ააშოროს ასეთი დახმარება ჩვენს განაპირა უბნებს!..

ს. ხ—ელ

წვრილი ამგეგი

ბაძოს დრამ. წრემ, ვ. შალიკაშვილის ავადმყოფობის გამო, რეჟისორად გაიწვია ი. ზარდალიშვილი. გაწვეულია ქ-ნი ან. შოთაძეც

ჩვენი წარსულის მცოდნეს თ. დ. ჟორდანიას განუზრახავს დასწეროს თავის მოგონებანი.

თ. ჟორდანია ამ ჟამად თბილისშია, ცოტა შეუძლოთ არის. მის პატივისმცემელთა ერთმა ჯგუფმა სთხოვა, მომჯობინდება თუ არა, მოხსენება წაიკითხოს ჩვენის წარსულიდან.

მ. ჯანაშვილი ეს ერთი ხანია ავადაა.

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტმა ქუთაისში 28—29/XI დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, სოფლებიდანაც კი. საზოგადოების თხოვნით ეს კონცერტი კიდევ გაიმართება ორჯელ ზედიზედ.

სიღნაღის სცენის მოყვარეთა წრე ბეჯითად მუშაობს. უკვე ხუთი წარმოდგენა გამართა. სხვათა შორის წარმოადგინა პ. ირეთელის „ბედნიერი დღე“. ამ კვირაა წარმოადგენს „დამარცხებულნი“-ს.

დ. ნახუცრიშვილი დიდების ტაძრის მნათედ დანიშნეს.

არ. ფანცულაიამ დ. ჭიაბრიშვილის ისტორ ეტიუდი საქართველოს მე-XVIII ს. ცხოვრებიდან, ერთ მოქმედებიან პიესად გადააკეთა. ეს პიესა მოკლე ხანში დიდგმის ფოთის სავაჟო გიმნაზიის სცენ.

ბორჯომში ქართველებმა გადასწყვიტეს დაარსონ ოფიციალური ქარ. დრ წრე, რომელსაც შეეძლება, როგორც თვით ბორჯომში, აგრეთვე ბორჯომის ახლო მდებარე სოფელ-აგარაკებშიაც მართოს წარმოდგენები. ამიტომ ამ დღეებში აღძრავენ შუამდგომლობას სადაც ჯერ არს.

„მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა, ა. წუწუნავას რ ეჟისორობით ქართ. დრამ დასის მიერ 9 ქრისტეშობ. წარმოდგენილი იქნება სახ. სახლში.

ცალკე წიგნად გამოვა მსახიობ-ქალის ელ. ჩერქეზიშვილის ნაწერები (მოთხრობები, წერილები, სცენებ , მოგზაურობა), რომლებიც სხვადასხვა დროს ქართ. გაზეთებში იბეჭდებოდა.

ტრ რამიშვილის „ჭკვა მხიარული“, ერთ მოქმედებიანი ვოდ., პირველად სახ. თეატრში დაიდგმის კ, შათირიშვილის რეჟისორობით. მთავარ როლებს შეასრულებენ ნ. ჯავახიშვილი, ნ. გოცირიძე და ს. რომანიშვილი. **განცხადება**

ერთ წელიწადზე მეტია, რაც ჯ. კ. ალექსანდრე ფიცხელაურისა არა ვიცით-რა. იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1913 წლის ნოემბერში. მსახურობდა მე-29 ჩერნიგოვის პოლკში, მე-6 როტაში. ამიტომ უმორჩილ ად ვთხოვთ იმ პირთ, რომელთაც მის შესახებ რამე იციან, გვაცნობონ შემდეგის მისამართით: ქ. დუშეთი. ქრისტეფორე ფიცხელაურს.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება 1916 წ. ხელმოწერა

1916 წ. ფელიეტონი IV

1916 წ. ფელიეტონი IV

(ფელიეტონი გამოცემისა მეოთხე)

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

იუმორისტული განყოფილებით, შ. რეებით და კარიკატურებით.

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ; კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, პიესები, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საკანგებო თანამშრომელ-კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარეულ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი. **ჟურნალი პარტიათა გარეშეა.**

ჟურნალის ფასი: წლით — 5 მ ნახევარი წლით— 3 მ., თითო № 10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 2 მ., მაისში— 2 მ, ენკენისთვეში—1 მ.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციის კანტორაში იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის" სტამბაში. მადათოვის ქუჩ. № 1) დილით 9—2 საათამდე, საღამოს 5—7 ს. წერილები და მასალები უნდა გ მოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება ოქვე. ტელეფონი № 15.41

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილ. სა

სახალხო სახლი

ოთხშაბათს 9 ქრისტეშობისთვეს, 1915 წ. ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მხსვერპლი

დრ. 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

რაც არ მერგება, არ შემერგება, ვოდ. ვ. გუნიასი

მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ, ყივიძე ი.

ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ა წუწუნავა

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი.

ხარფუხის საზ. კლუბი

მიხეილის პრ. № 131

ერთი კვირის პროგ 5—13 ქრისტ-თვე

შაბათს { სიმებიანი ორკესტრი პრესმანის
კვირა { ლოტ ბარობით

ორშაბ. სინემატოგრაფი; საზანდარი

სამშაბ. ქართ. წარმოდგენა

ოთხშაბ. სინემატოგრ.

ხუთშაბ. ვაჟა-ფშაველას საღამო

პარასკ. საზანდარი, სინემატოგრაფი

შაბათი ქართ. ოპერა „რიგოლეტო"

კვირა მუსიკალური საღამო

შესავალი ფასი: მამაკაცი—30 კ. ქალები დ. სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზეა

ქუთაისში
ქარხანები
ეკატერინე ჯაფარიძე
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.